

შპს ზღ ნავთობის კომპანია

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ზღ ნავთობის კომპანიის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობასპირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ზღ ნავთობის კომპანიის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველაარსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მარაგების ინვენტარიზაციას, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ დავინიშნეთ აუდიტორებად, გარდა ამისა, აუდიტის პროცესში ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო მარაგების ნაშთი სამართლიანად და უტყუარად ასახავდა რეალობას.

ასევე ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო სათანადო რწმუნება დებიტორ-კრედიტორების ნაშთების სისწორეზე.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში

„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდახედიდან განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას,

ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მშასადაამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ



Tax Management & Consulting

აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის. ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

ლევან აგლაძე
შპს თიემსი
25 ოქტომბერი 2021

თბილისი, საქართველო



შპს ზდ ნავთობის კომპანია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,298,683	2,915,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,298,683	2,915,009
სასაქონლო მარაგები	6	5,129,823	7,070,206
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,136,889	4,147,402
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	196,497	7,465
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,463,209	11,225,073
სულ აქტივები		13,761,892	14,140,082
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5,486,144	5,337,985
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,486,144	5,337,985
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	10	418,186	807,477
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	2,232,047	1,594,770
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,650,233	2,402,247
სულ ვალდებულებები		8,136,377	7,740,232
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,547,356	7,547,357
გაუნაწილებელი მოგება		(1,921,841)	(1,147,507)
სულ საკუთარი კაპიტალი		5,625,515	6,399,850
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13,761,892	14,140,082

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი

ბადრი ბუთხუზი

შპს ზდ ნავთობის კომპანია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,298,683	2,915,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,298,683	2,915,009
სასაქონლო მარაგები	6	5,129,823	7,070,206
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,136,889	4,147,402
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	196,497	7,465
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,463,209	11,225,073
სულ აქტივები		13,761,892	14,140,082
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5,486,144	5,337,985
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,486,144	5,337,985
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	10	418,186	807,477
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	2,232,047	1,594,770
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,650,233	2,402,247
სულ ვალდებულებები		8,136,377	7,740,232
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,547,356	7,547,357
გაუნაწილებელი მოგება		(1,921,841)	(1,147,507)
სულ საკუთარი კაპიტალი		5,625,515	6,399,850
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13,761,892	14,140,082

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი



შპს ზდ ნავთობის კომპანია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 წელი	2019 ლარი
ამონაგები		35,717,899	45,464,799
ამონაგების თვითღირებულება		(32,046,276)	(38,359,079)
საერთო მოგება		3,671,623	7,105,721
მიწოდების ხარჯები		(546,125)	(585,038)
ადმინისტრაციული ხარჯები		(1,971,986)	(1,259,171)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(1,927,845)	(1,923,166)
მოგება დაბეგრამდე		(774,334)	3,338,346
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(774,334)	3,338,346

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი

შპს ზღ ნავთობის კომპანია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

შენიშვნა	2020 წელი	2019 ლარი
ამონაგები	35,717,899	45,464,799
ამონაგების თვითღირებულება	(32,046,276)	(38,359,079)
საერთო მოგება	3,671,623	7,105,721
მიწოდების ხარჯები	(546,125)	(585,038)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,971,986)	(1,259,171)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(1,927,845)	(1,923,166)
მოგება დაბეგვრამდე	(774,334)	3,338,346
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(774,334)	3,338,346

შპს ზღ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი



შპს ზდ ნავთობის კომპანია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	2020 ლარი	2019 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	48,743,172	53,409,443
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(29,820,070)	(45,481,058)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(608,189)	(636,747)
გადახდილი გადასახადები	(15,711,404)	(5,175,351)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,603,509	2,116,286
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268,700)	(14,709)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო შემოსავლები	70,618	7,613
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(198,082)	(7,096)
სესხისა და სესხის პროცენტის მიღება/(გადახდა)	(2,164,737)	(2,883,735)
კაპიტალის ზრდა	-	876,000
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,164,737)	(2,007,735)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	240,690	101,455
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(51,658)	(97,574)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7,465	3,584
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	196,497	7,465

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი

შპს ზდ ნავთობის კომპანია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	2020 ლარი	2019 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	48,743,172	53,409,443
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(29,820,070)	(45,481,058)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(608,189)	(636,747)
გადახდილი გადასახადები	(15,711,404)	(5,175,351)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,603,509	2,116,286
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268,700)	(14,709)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო შემოსავლები	70,618	7,613
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(198,082)	(7,096)
სესხისა და სესხის პროცენტის მიღება/(გადახდა)	(2,164,737)	(2,883,735)
კაპიტალის ზრდა	-	876,000
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,164,737)	(2,007,735)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	240,690	101,455
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(51,658)	(97,574)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7,465	3,584
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	196,497	7,465

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი



შპს ზდ ნავთობის კომპანია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	3,776,297	(4,485,853)	(709,556)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	3,771,060	-	3,771,060
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	3,338,346	3,338,346
ნაშთი - 31.12.2019	7,547,357	(1,147,507)	6,399,850
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(774,335)	(774,335)
ნაშთი - 31.12.2020	7,547,357	(1,921,842)	5,625,515

შპს ზდ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი

შპს ზედ ნავთობის კომპანია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	3,776,297	(4,485,853)	(709,556)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	3,771,060	-	3,771,060
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	3,338,346	3,338,346
ნაშთი - 31.12.2019	7,547,357	(1,147,507)	6,399,850
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(774,335)	(774,335)
ნაშთი - 31.12.2020	7,547,357	(1,921,842)	5,625,515

შპს ზედ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი



შპს ზდ ნავთობის კომპანია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. კორპორატიული სტრუქტურა და ძირითადი საქმიანობა

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ დაფუძნდა 2013 წლის 26 მარტს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404440501, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბანის რაიონი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი . კომპანიის მფლობელები არიან ფ.პ. დავით კაპანაძე (პ/ნ: 01005005563) 55% და ფ.პ. გაბრიელი ნაზარაშვილი (პ.ნ. 01005001609) 45%.

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობ-პროდუქტების იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საზოგადოებრივი მოწოდების შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მოწოდებებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჭვირვების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია ლარში.

მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ანკონტროლი;

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავლისაიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

შემოსავალი მომსახურებიდან

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავლისაიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული;და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან,აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

მსს ფასს-ის მე 20 განყოფილება იჯარის კლასიფიკაციას ახდენს ჩვეულებრივ ანუ საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად. მსს ფასს 20.4-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საოპერაციო იჯარა წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის შემოსავალს/ხარჯს, ხოლო ფინანსური იჯარის აღიარება მოიქარის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მოხდეს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში, ხოლო მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია

საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ საოპერაციო იჯარა, შესაბამისად მიღებული შემოსავალი და ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის შემოსავალს/ხარჯს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და რჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშჟაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

–	შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს	5%
–	მანქანა-დანადგარები	10-20%
–	ელ. მომარაგების ხაზი	10%
–	ავეჯი და სხვა ინვენტარი	15%
–	სატრანსპორტო საშუალებები	20%

კომპანია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტიაღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა დამეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა - 15%

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიფი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან რაშიც ის იმყოფება.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნებამიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება

მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვისმიერად დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებსა ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შემენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტორის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია ;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო;

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით

შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტოგანაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეს ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობასაბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან

მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება ხდება საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილსარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური დაკომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო სასაშუალებები	ელ- მომარაგების ხაზი	არამატერიალური აქტივები	ჯამი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>								
01 იანვარი 2019 წ.	909,332	192,067	2,474,099	32,992	18,800	41,196	1,695	3,670,181
შემოსვლა	-	-	504,737	35,444	-	-	-	540,181
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	909,332	192,067	2,978,836	68,436	18,800	41,196	1,695	4,210,362
შემოსვლა	258,700	-	329,954	1,004	-	-	-	589,658
გასვლა	-	-	-	(14,442)	-	-	-	(14,442)
31 დეკემბერი 2020 წ.	1,168,032	192,067	3,308,790	54,998	18,800	41,196	1,695	4,785,578
								-
<u>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება:</u>								
01 იანვარი 2019 წ.	-	30,846	1,067,654	12,360	6,768	14,408	810	1,132,846
წლიური ცვეთა	-	8,066	144,917	4,308	2,406	2,679	133	162,509
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	-	38,912	1,212,571	16,668	9,174	17,087	943	1,295,355
წლიური ცვეთა	-	8,053	178,513	7,978	1,965	2,928	129	199,566
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(8,027)	-	-	-	(8,027)
31 დეკემბერი 2020 წ.	-	46,965	1,391,084	16,619	11,139	20,015	1,072	1,486,894
								-
<u>საბალანსო ღირებულება:</u>								
31 დეკემბერი 2018 წ.	909,332	161,221	1,406,445	20,632	12,032	26,788	885	2,537,336
31 დეკემბერი 2019 წ.	909,332	153,155	1,766,265	51,768	9,626	24,109	752	2,915,009
31 დეკემბერი 2020 წ.	1,168,032	145,102	1,917,706	38,379	7,661	21,181	623	3,298,683

5. სასაქონლო მარაგები

	2020 ლარი	2019 ლარი
საქონელი	765	51
მეორადი სამშენებლო მასალები	1,100	1,330
ნედლეული და მასალები	596,648	606
ნავთობპროდუქტები	546,820	755,177
მზა პროდუქცია	3,984,490	6,313,042
	5,129,823	7,070,206

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 ლარი	2019 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,701,956	3,368,478
უიმედო ვალების ანარიცხი	(404,558)	(58,264)
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	839,491	837,188
	5,136,889	4,205,666

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020 ლარი	2019 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	152,885	6,122
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43,612	1,343
	196,497	7,465

8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2020 ლარი	2019 ლარი
ბანკის საკრედიტო ხასიზ ფარგლებში მიღებული სესხი	5,486,144	5,337,985
	5,486,144	5,337,985

9. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	2020 ლარი	2019 ლარი
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	418,186	807,477
	418,186	807,477

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020 ლარი	2019 ლარი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	876,607	282,270
მიღებული ავანსები	337,309	12,768
გადასახდელი გადასახადები	134,802	416,433
გადასახდელი პროცენტები	883,298	883,299
	2,232,016	1,594,770

11. ამონაგები

	2020 ლარი	2019 ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	27,932,616	26,232,357
შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ-სგან გათავისუფლებული	7,785,283	19,232,442
	35,717,899	45,464,799

12. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 ლარი	2019 ლარი
შრომის ანაზღაურება	753,526	616,595
საიჯარო ქირა	80,251	306,342
კომუნიკაციის ხარჯები	1,017	1,406
საოფისე ხარჯები	8,338	2,832
საკანცელარიო ხარჯები	265	389
დაცვის მომსახურება	58,983	58,712
დაზღვევის ხარჯები	24,898	43,674
საკონსულტაციო ხარჯები	26,000	19,300
ცვეთა და ამორტიზაცია	172,309	17,593
სხვა მომსახურება	-	5,424
საბანკო ხარჯები	32,843	26,500
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,596	-
უიმედო ვალების ანარიცხი	404,558	58,264
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	123,408	107,565
	1,687,993	1,259,171

13. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2020 ლარი	2019 ლარი
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგი	928,634	761,728
საპროცენტო ხარჯები	1,007,481	1,108,981
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(11,045)	52,457
	1,925,070	1,923,166

14. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადით დაბეგვრას აღარ ექვემდებარება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, შესაბამისი პერიოდისთვის დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დარიცხული მოგების გადასახადი წარმოადგენს ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადს.

15. ფინანსური რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- გეოგრაფიული რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

	2020 ლარი	2019 ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,136,889	4,205,666
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	196,497	7,465
სულ ფინანსური აქტივები	5,333,386	4,213,131
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,232,016	1,594,770
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	418,186	807,477
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5,486,144	5,337,985
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,136,346	7,740,232

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020 ლარი	2019 ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,136,889	4,205,666
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	196,497	7,465
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	5,333,386	4,213,131

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე.

გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო

განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,316,725	2,891,662	-	4,208,387
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6,122	-	1,343	7,465
	1,322,847	2,891,662	1,343	4,215,852
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,375,202	193,173	11,616	1,579,991
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	1,441,412	1,441,412
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	4,768,710	4,768,710
	1,375,202	193,173	6,221,738	7,790,113
ღია საბალანსო პოზიცია	(52,355)	2,698,489	(6,220,395)	(3,574,261)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,809,199	3,327,690	-	5,136,889
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	152,885	43,612	-	196,497
	1,962,084	3,371,302	-	5,333,386
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(542,428)	(202,292)	(131,887)	(876,607)
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	(418,186)	-	(418,186)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	(5,486,144)	-	(5,486,144)
	(542,428)	(6,106,622)	(131,887)	(6,780,937)
ღია საბალანსო პოზიცია	1,419,656	9,477,924	131,887	12,114,323

16. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობასახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი დაპოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და

მომავალში მეტი ცვლილება მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის 33-ე განყოფილებაში (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო):

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

1. არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
2. აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
3. მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

1. ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
2. ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
3. ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
4. ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმოს იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
5. ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

6. ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
7. ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
8. (ა) (2) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ესპირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი

18. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებითრისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

20. ცვლილებები წარდგენაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესაძარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარი	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება ლარი	თავდაპირველი წარდგენა ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	3,310,203.84 837,188.00	(57,746.16) (3,239.00)	3,367,950.00 840,427.00
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(282,270.00)	(4,943.00)	(277,327.00)
სხვა ვალდებულებები	(883,299.00)	(9,836.00)	(873,463.00)
სხვა კორექტირება		1,654.00	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1,147,507.00	74,110.00	1,073,397.00

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (25.10.2021) კომპანიაში მიღებული სესხების მოცულობა საკრედიტო ხაზის ფარგლებში გაიზარდა 4,098,229 ლარით.

22. განმარტება COVID-19-თან (ახალი კორონა ვირუსი) დაკავშირებით:

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჩინეთში და შემდეგ უკვე მთელს მსოფლიოში გავრცელდა ცირუსი Covid-19 -ის სახელით. პანდემიამ მალე საქართველოშიც შემოაღწია, რამაც გამოიწვია რიგი შეზღუდვები. ლოქდაუნმა და აკრძალვებმა ბიზნეს სექტორზე უარყოფითი გავლენა იქონია, თუმცა კომპანიების ნაწილმა მოახერხა და შეინარჩუნა კარდების სრული რაოდენობა და საკუთარი ადგილი ბაზარზე.

რაც შეეხება შპს ზედ ნავთობის კომპანიას, COVID-19-ით გამოწვეულ გარემოებებს გავლენა კომპანიისათვის

ამონაგების მხრივ არ ჰქონია. მოკლე ვადით შეიქმნა მიწოდების პრობლემა რაც მალევე გამოსწორდა, კომპანიას მარაგების ჩამოწერა აუცილებლობა არ დაუდგა, არ ჰქონდა სამუშაო ძალის უკმარისობა დასახელმწიფოსგან მიღებული დახმარებები. კომპანიასა და მის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს როგორც საერთაშორისო პლაცზე დადგენილი გასაყიდი ფასი ასევე საკუროსო რყევები. კომპანია არ ელოდება ამგვარი მდგომარეობის დიდხანს გაგრძელებას და მის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 25 ოქტომბერს.

შპს ზედ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი

ამონაგების მხრივ არ ჰქონია. მოკლე ვადით შეიქმნა მიწოდების პრობლემა რაც მალევე გამოსწორდა, კომპანიას მარაგების ჩამოწერია აუცილებლობა არ დაუდგა, არ ჰქონდა სამუშაო ძალის უკმარისობა დასახელმწიფოსგან მიღებული დახმარებები. კომპანიასა და მის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს როგორც საერთაშორისო პლაცზე დადგენილი გასაყიდი ფასი ასევე საკუროსო რყევები. კომპანია არ ელოდება ამგვარი მდგომარეობის დიდხანს გაგრძელებას და მის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 25 ოქტომბერს.

შპს ზედ ნავთობის კომპანიის დირექტორი
ბადრი ბუთხუზი



შპს „ზედ ნავთობის კომპანია“

მმართველობით ანგარიში - 2020-2021წწ.

სარჩევი:

1. კომპანიის შესახებ.
2. მმართველობა
3. საქმიანობის შედეგები
4. კომპანიის განვითარების გეგმები
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა
7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ
10. მმართველობასთან დაკავშირებული სხვა რისკები და გაურკვევლობები

1. კომპანიის შესახებ.

1.1. შპს „ზედ ნავთობის კომპანია“ დაფუძნდა 2013 წლის 26 მარტს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ თანახმად.

კომპანიის შექმნის მიზანი თავიდანვე იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სფეროში საქმიანობა და ამ სფეროში თავისი წვლილის შეტანა.

დაფუძნების შემდეგ კომპანიამ განახორციელა საჭირო უძრავი ქონების შეძენა და გაერთიანება. პარალელურად ახორციელებდა საჭირო ინვენტარისა და აღჭურვილობების (ტექნოლოგიური დანადგარების) მოძიებას, შეძენას, შემოტანას და ინსტალაციას.

პარალელურად ახორციელებდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობას მოქმედი კანონმდებლობის და მიღებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესაბამისად.

დაახლოებით 2 წლიანი პერიოდი დასჭირდა ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟსა და ინსტალაციას, მათ გამოცდით სამუშაოებს.

1.2. როგორც თქვენთვის ცნობილია კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სრულად შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კანონმდებლობას ასევე შეესაბამება მისი მართვის სტილი და ვერტიკალი (უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც ნიშნავს დირექტორ(ებ)ს, ხოლო ეს უკანასკნელი ასაქმებს საჭირო ცოდნისა და კვალიფიკაციის კადრებს, აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს, განუსაზღვრავს საქმიანობის მიმართულებებსა და ფარგლებს, რასაც ახორციელებს ორგანიზაციის შიდა დოკუმენტებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

1.3. ჩვენი კომპანიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის დიდი კომპანია და თავისი სტრუქტურით ვერ შეედრება კლასიკური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებსათვის დადგენილ კლასიკურ სტრუქტურებს, მაგრამ თავისი წარმოების პოლიტიკით, შესაძლებლობებით და წარმადობის გათვალისწინებით სრულად ამართლებს და სრულად

ასრულებს კომპანიის წინაშე დასმულ საწარმოო, ფინანსურ თუ სხვა ამოცანებს. მოცემული მომენტისათვის მის მიერ წარმოებული მმართველობითი პოლიტიკა მიესადაგება დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. მმართველობა

2.1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კომპანიის მთავარი მმართველობითი ორგანო არის პარტნიორთა კრება, რომელიც იკრიბება პერიოდულად და განიხილავს მიმდინარე და სამომავლო ამოცანებს. დაგეგმილი შედეგებიდან გამომდინარე კომპანიის მმართველ რგოლს აძლევს დავალებებს და შემდგომ მისგან სისტემატურად ისმენს შედეგებს.

2.2. მმართველ რგოლი არის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული დირექტორი (ანუ აღმასრულებელი დირექტორი) და მის დამხმარე სამეწარმეო რეესტრში დაურეგისტრირებელი დირექტორები შესაბამისი მიმართულებით და საწარმოო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები (მიუხედავად მათი თანამდებობის დასახელებისა). აღნიშნული პირები საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდუალურად განიხილავენ მათთვის დასმული ამოცანებს შესაძლებლობებს და ახდენენ ურთიერთკოორდინირებას, ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე ახდენენ ამოცანების შესრულებას და შედეგების კონტროლს. მიღებული ან/და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ატყობინებენ კომპანიის დირექტორს, ხოლო ეს უკანასკნელი ატყობინებს კომპანიის პარტნიორებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება დასახული ამოცანების კორექტირება საბაზრო პირობების, ვალუტის კურსის, მოთხოვნისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

ამგვარი პროცედურები ხორციელდება მარტივი და მოკლე დროში კომუნიკაციის გზებით, რაც იძლევა საშუალებას კომპანია იყოს მოქნილი გარე ცვალებად ფაქტორებისადმი, რითაც მცირდება რისკები მნიშვნელოვანი ზარალის თავიდან ასაცილებლად.

3. საქმიანობის შედეგები

3.1. როგორც სახელწოდებიდან ჩანს კომპანია არის ნავთობპროდუქტების სფეროში მომუშავე კომპანია. იძენს, შემოაქვს ნედლი ნავთობის (ძირითადად საქართველოსში მოპოვებული ნავთობი), ახდენს მის გადამუშავებას, იღებს მაზუთის, დიზელის და ნედლი ბენზინის პროდუქციას, რომლებიც სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური პროცედურების გამოყენების შემდეგ ხდება სამომხმარებლო საწვავი (საქონელი). საქართველოს ბაზარზე არსებული ნავთობის სფეროში დასაქმებული კომპანიებისაგან იმით გამოირჩევა რომ მას აქვს ნავთობის გადამამუშავებელი წარმოებაც, რაც გარკვეულ უპირატესობას იძლევა, ხოლო სხვა კომპანიები ძირითადად იმპორტირებული ნავთობპროდუქტებს გაყიდვით არიან დაკავშირებულინი. აღნიშნული ჩვენს კომპანიას აძლევს საშუალებას დააწესოს ნაკლები ფასები და ამ მხრივაც იყოს ელასტიური. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ კომპანიას ნაწარმოებ პროდუქციის (მაზუთი, დიზელი, ბენზინი) გაყიდვის პრობლემა ძირითადად არ გააჩნია. კომპანია უმთავრესად მუშაობს საბითუმო პირობებით და პროდუქციას აწვდის სხვადასხვა დასახელების და სხვადასხვა სიდიდის კომპანიებს.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

4.1. ჩვენი კომპანია სამიანობის 7 წლის განმავლობაში საკმაოდ განვითარდა და მოძლიერდა. დღის წესრიგში დგას დამატებითი სათავსების და საცავების მშენებლობა, რომლის დამატებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს იურიდიული პროცედურების გავლა. აღნიშნული პროცედურები გავლილი სანახევროდ დ კიდევ დამატებით საჭიროა 2-3 თვე რათა სრულად იქნეს დამლუღული ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული პროცედურები და დაიწყოს გაფართოების სამუშაოები. გაფართოებისათვის კომპანიის მიერ 2019-2020 წლებში შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი და საცავების მშენებლობისათვის საჭირო მასალები. საცავების გაფართოება (დამატება) კომპანიას საშუალებას მისცეს იყოს უფრო მოქნილი ცვალებად საბაზრო პირობებთან (ძირითადად პლაცის ცვალებადობასთან და დოლარის კურსის ცვალებადობასთან) მიმართებაში. კერძოდ მას საშუალება ექნება შეიძინოს ნედლეული მაშინ როდესაც პლაცი მისთვის მისაღები იქნება, გადამუშავოს ისინი და პლაცის და დოლარის გაუარესების შემთხვევაში დააყოვნოს ისინი საკუთარ საცავებში გარკვეული დროით და გაყიდოს ისინი ხელსაყრელი პირობების დადგომის ან/და კლიენტების გამოჩენის შემთხვევაში. აღნიშნული მნიშვნელოვანი იქნება მისი ზარალის შემცირების და მინიმალიზაციისათვის.

4.2. იგეგმება ასევე ტექნოლოგიური და დამატებითი სხვა პროდუქციის გამოშვება, რაზედაც მოცემული ეტაპისათვის საუბარი ცოტა ადრეა. ასევე იგეგმება ნედლეულის სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდვის გაფართოება, რისთვისაც ასევე გამოყენებული იქნება საცავების გაზრდილი მოცულობა. ჩვენი კომპანიის სტაბილური ზრდა დღის წესრიგში აყენებს დამატებითი პირების დასაქმების საკითხსაც, რაც ეტაპობრივად განხორციელდება გაფართოებასთან ერთად. ჩვენი კომპანიის საქმიანობაში დამატებითი შტრიხს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ჩვენ თითქმის მთლიანად ვითვისებთ საქართველოში მოპოვებულ ნედლ ნავთობს, აღარ ხდება მისი გადინება საზღვარგარეთ და მისი გადამუშავების მოგება და ეკონომიკური სიკეთე რჩება საქართველოში, ამით იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების ოდენობა, სხვადასხვა პირების დასაქმება, და მიღებული მოგების კომპანიის და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება. მოკლედ რომ ვთქვათ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ეკონომიკის განვითარებაში.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

5.1. მოცემულ ეტაპზე კომპანიას არ აქვს ფილიალები და ცალკე მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, თუმცა გაფართოებასა და განვითარებასთან ერთად არ გამოვრიცხავთ ფილიალების ან/და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებს გაჩენას და მათ ჩართვას ჩვენს საქმიანობაში.

6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

6.1. 2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა ინდივიდუალური კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით, ეს ძირითადად იმითაა განპირობებულია, რომ კომპანიას არ აქვს პრობლემები ნედლეულის მოზიებასა და მზა პროდუქციის ოქალისაგან, ანუ ჩვენი საწარმოო სიმძლავრეები და რეალიზაციიდან მიღებული უკუგება ურთიერთთანხვედრაშია და დამატებითი კვლევების საჭიროება რომელიმე რგოლის წინ წასაწევად არ გვესაჭიროება.

6.2. სანაცვლოდ ამისა ყოველდღიურად ხდება გამოქვეყნებული და რეალურ ბაზარზე არსებული ინფორმაციის მოპოვება პლაცების, ვალუტის კურების, სხვადასხვა ნავთობკომპანიებიდან გასაყიდი და შესასყიდი პროდუქციის ფასების მოძიება და ჩვენს საქმიანობაში გამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სფეროსათვის ფართოდ ხანგრძლივი კვლევების ჩატარება და ამ მიმართულებით თანხების დახარჯვა არ იქნება ეფექტური და მომგებიანი, ვინაიდან ჩვენი საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი დამ მასტიმულირებული კომპონენტები (პლაცი და დოლარის კურსი) იცვლება ყოველდღიურად და საჭიროა მივყვეთ მას აქტიურ მიმდინარე რეჟიმში და არა ხანგრძლივი და კვლევების ჩატარებით, ხოლო რაც ეხება საქონლის საერთო მოცულობის იმპორტ-ექსპორტის და გაყიდვების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციას მოვიძიებთ საქსტატის და სხვადასხვა სპეციფიკური (ამ სფეროს მომცველი) გამოცემებიდან.

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

7.1. შპს ზედ ნავთობის კომპანია“ მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია და ზრდის ტენდენციას აჩვენებს (დეტალურად იხილეთ ფინანსური მაჩვენებლები).

7.2. 2020 წლის გაზაფხულზე კოვიდ-19 თან დაკავშირებით მოხდა ნავთობპროდუქტების მკვეთრი შემცირება, რამაც გამოიწვია კაპიტალის შემცირება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა 5 625 525 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 6.6%-ით ნაკლებია. ხოლო კომპანიის გრძელვადიანი აქტივები 2020 წლის განმავლობაში გაიზარდა 13.17%-ით (იყო 2,915 მილ ლარი და გახდა 3,298 მილ ლარი).

7.3. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში განვითარებულმა და გავრცელებულმა ვირუსის სხვადასხვა ტალღამ (კოვიდ-19) ვერ შეაჩერა ჩვენი გაყიდვები და კომპანიას ხელი ვერ შეუშალა დაგეგმილი ამოცანების განხორციელებაში.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

8.1. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება, არ განხორციელებულა წილის ყიდვა-გაყიდვა ან/და პარტნიორებს შორის სხვაგვარი გადანაწილება. ამ კუთხითაც ჩვენი კომპანია სტაბილურია.

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

9.1. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებით შენიშვნებში.

10. მმართველობასთან დაკავშირებული სხვა რისკები და გაურკვევლობები

10.1. როგორც ვიცით რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ბიზნესის წარმოების დროს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

10.2. ყველა კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში დგას საოპერაციო და ფინანსური რისკების წინაშე.

10.3. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი რისკები: ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებები, მომწოდებლის მიერ არასათანადო ხარისხის ნედლეულის მოწოდება, მიწოდებული მზა საქონლის ღირებულების დაგვიანებით გადახდა ან არ გადახდა და სხვა. ამ მიმართულებით კომპანიას გამომუშავებული აქვს ინდივიდუალური და ნდობითი რეფლექსები, სისტემატურად გეგმავს და ახდენს საქონლის ნიმუშების აღებას, ლაბორატორიულ კვლევებს, მომწოდებლების საიმედოობის და გადახდისუნარიანობის შემოწმებას და დამატებითი გარანტიების მოთხოვნას (საჭიროების შემთხვევაში).

10.4. პროდუქტის ხარისხის გაფუჭება - აღნიშნული რისკი თითქმის არასდროს დაგვდგომია, ვინაიდან საბოლოო სახის მიცემამდე ხდება პროდუქციის კვლევა, შემოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა საბოლოო სახე, გარდა ამისა კომპანიას ყავს კვალიფიციური პერსონალი, ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის პროდუქცია ხასიათდება სტაბილურობით, რაც განაპირობებს კმაყოფილი და გაზრდილი კლიენტების რიცხვს.

10.5. კადრების ბრუნვადობა - ამ მიმართულებით კომპანია არის სტაბილური და ფრთხილი. მას უკვე დასაქმებული ყავს კვალიფიციური კადრები, ხოლო ახალი კადრების აყვანას ახორციელებს დიდი სიფრთხილით შერჩევის და ხანგრძლივი გამოცდის გზით. ახალ კადრებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი და დამოუკიდებლად საქმიანობამდე თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ შესაბამისი პროფილის ზედამხედველობის ქვეშ.

10.6. გლობალური რისკი COVID 19-ის სახით - აღნიშნული სირთულე (შეზღუდვები) ჩვენს კომპანიას შეიძლება ითქვას რომ უმნიშვნელოდ შეეხო, რაც თანამშრომელთა გადაადგილებას ეხებოდა, ხოლო ნედლეულის შემოტანა და საქონლის მიწოდება თავისუფლად ხდებოდა.

